

Irina Natsvlshvili

ირინა ნაცვლიშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

“Nation and History” in Another Context

(Alexander Manvelishvili’s “La Formation De La Nation Géorgienne” [National Formation of Georgians])

„ერი და ისტორია“ სხვა კონტექსტში

(ალექსანდრე მანველიშვილის „ქართული მოდემის ეროვნული ფორმაცია“)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10927>

The definition of the concept *nation* as a unity that has emerged on ethnic or state grounds, is diversified in the scientific literature. In this background the literary work ‘National Formation of Georgians’ by the Georgian emigrant of the soviet period, Alexander Manvelishvili, is extremely interesting.

The author provides an extended discussion of the genesis and major features of *nation* as a phenomenon, by means of which the primary goal of the work is attained - in a wide historical context and the establishment of the timespan of the final formation of Georgians as a nation.

Key words: *nation, formation, factors, Georgian, history*

საკვანძო სიტყვები: ერი, ფორმაცია, ფაქტორები. ქართველი, ისტორია

„რა არის ერი?...ეროვნება რითი განსხვავდება
რასის ანუ მოდემისაგან? აი ამ კითხვების პასუხის პოვნა
საჭიროა ყველასთვის, ვინც კი უფიქრდება კაცობრიობის ისტორიას“.
ერნესტ რენანი

ერის, როგორც ეთნიკურ თუ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე წარმოშობილი ერთობის, ცნების განმარტება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების გათვალისწინებით ცივილიზებული საზოგადოების ისტორიაში საკმაოდ გვიანდელი მოვლენაა და ლექსიკონებშიც ის მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან ჩნდება; თუმცა ეს, რასაკვირველია, არ უარყოფს ერების ამ დრომდე გაცილებით ადრე არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ თეორიათა უმრავლესობა მათ ჩამოყალიბებას სწორედ XIX საუკუნის შუა წლების მძლავრ პოლიტიკურ და კულტურულ ევოლუციას უკავშირებს.

რა ფაქტორები უდევს საფუძვლად საერთო თუ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხების ერთად გაერთიანებას ან განსაზღვრავს თუ არა ეროვნულ მიკუთვნებულობას სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ერთეული, და მისი საზღვრები – საკითხი თანამედროვე ეპოქაშიც უადრესად აქტუალურია, მით უფრო, გლობალიზაციის კონტექსტში და რეალურად მრავალმხრივი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია.

ერის შესახებ საერთო დისკურსში მეტად საინტერესოდ წარმოდგება საბჭოთა ეპოქის ქართველი ემიგრანტის, ალექსანდრე მანველიშვილის, პარიზში გამოცემული (1955 წ.) ნაშრომი „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი, იმდროინდელი ევროპული ცოდნისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ვრცლად მსჯელობს ერის, როგორც ფენომენის, გენეზისსა და მის მთავარ თვისებებზე, რაც, მისივე თქმით, უპირველეს ყოვლისა, არის საშუალება ნაშრომის ძირითადი მიზნის მისაღწევად – ფართო ისტორიულ კონტექსტში ქართველთა ერთად შედგომის გზის გასააზრებლად და საბოლოო ჩამოყალიბების ეპოქის დასადგენად. ამ თვალსაზრისით, ალ. მანველიშვილის კვლევას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ის ფაქტიც, რომ, როგორც თავად აღნიშნავს, „ქართველი ერის ფორმაციის საკითხს სერიოზულად არავინ შეხებია“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 17).

ვფიქრობთ, საკვლევი საკითხით დაინტერესება, უდავოდ, განსაზღვრა როგორც ალ. მანველიშვილის ფართო ერუდიციამ, სამეცნიერო და შემეცნებითმა ინტერესებმა, ისე მისმა ეროვნულ-პოლიტიკურმა პოზიციამ და მოღვაწეობამ. მან, სრულიად ახალგაზრდამ (25 წლის ასაკში), 1929 წელს დატოვა გასაბჭოებული საქართველო და თურქეთის გავლით 1930 წელს საფრანგეთში ჩავიდა, სადაც შეუერთდა ეროვნული იდეის გარშემო შემოკრებილ პატრიოტულ ორგანიზაცია „თეთრ გიორგის“ და მალევე ლეო კერესელიძესა და მიხაკო წერეთელთან ერთად მისი ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგიც გახდა. 1936 წელს გაზეთ „მომავალში“ (№9) გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი გზა“ ს. ჭირაქაძე ალ. მანველიშვილის შესახებ წერდა:

„ის არის საუკეთესო წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელიც თავის დასაბამს იწყებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან. ის არის ღირსეული შვილი ქართველი ერის დიდებული ისტორიული ჟამისა, მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა, მისი თავისუფლებისა. ის არის ცოცხალი მოწამე საქართველოს დაღუპვისა და მხურვალე მონაწილე... მისი შეუწყვეტელი ბრძოლებისა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ის არის შობილი ჩვენი მძიმე ხვედრისგან, ჩვენი ეროვნული კატასტროფის და უბედურების წიაღიდან, და არ შეიძლება მას, როგორც უცხო ძალის მიერ დაპყრობილ ერის შვილს, არ ეგრძნო ჩვენი ქვეყნის ესოდენი ბედის უკუღმართობანი და არ ჩაბმულიყო მთელი თავის გატაცებით და აღფრთოვანებით მთელს ქართველ ხალხთან ერთად სამშობლოს განმათავისუფლებელს ბრძოლებში“ (ჭირაქაძე, 1936, გვ.1);

უკვე ასაკოვანი, 90 წელს მიტანებული ალ. მანველიშვილის ღვაწლს კი გ. შარაძე ასე აფასებდა: „დღევანდელ ქართულ ემიგრაციაში იგი შეიძლება მიჩნეულ იქნას ნამდვილ პატრიარქად თავისი ხნოვანებითაც და დამსახურებითაც“ (შარაძე, 1992, გვ.17).

ერის რაობის საკითხით ალ. მანველიშვილი, როგორც ჩანს, ადრევე დაინტერესებულა. გაზეთ „მომავალში“ (№7) გამოქვეყნებულ „ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკულ დებულებებში“, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებლობის შემდეგ თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას შეეხებოდა, იგი წერს:

„ცხოვრების განვითარებამ და ადამიანთა მოდგმის ევოლიუცია-დიფერენციაციამ, ისეთ კოლექტიურ ერთეულად, სადაც ინდივიდი ჰპოულობს მის სულიერ, ზნეობრივ, კულტურულ და ნივთიერ მისწრაფებათა განხორციელებას, მოგვცა ერი. ერი არის საზოგადოებრივი დიფერენციაციის კონკრეტული ფორმა, რეალობა; შექმნილი ისტორიულ პროცესში, საერთო ჭირვარამის, საერთო სულიერი მღელვარების, საერთო შემოქმედების, საერთო საჭიროებათა და საერთო განცდების ნიადაგზე“ (მანველიშვილი, 1935, გვ. 2).

ალ. მანველიშვილის ინტერესს ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, ეროვნული მიზნები აკვლიანება – ამავე პუბლიკაციაში იგი საგანგებოდ აღნიშნავს: „ჩვენს იდეოლოგიას საფუძვლად ედება ერი, როგორც თვით მიზანი. ჩვენს იდეოლოგიას საფუძვლად უდევს ერის პრინციპი... ერს, რომელიც წარმოადგენს დამთავრებულ კოლექტიურ ერთეულს, შედეგს საზოგადოებრივი დიფე-

რენციაციის, აქვს უფლება თავისუფალი არსებობის... ქართველი ერი, როგორც ასეთი, ჩამოყალიბებულია მრავალი ათეული საუკუნეების უწინ“ (მანველიშვილი, 1935, გვ. 2). და აი, 20 წლის შემდეგ, 1955 წელს, პარიზში გამოდის ალ. მანველიშვილის ნაშრომი „ქართული მოდემის ეროვნული ფორმაცია“, რომლის მიზანი, ძირითადად, არსებულ წყაროთა საფუძველზე, ქართველი ერის ჩამოყალიბების ვრცელი ისტორიული გზისა და მისი ცალკეული ეტაპების წარმოჩენაა, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით მარქსისტულ-სოციალისტური ინტერპრეტაციის უკომპრომისო კრიტიკის სახით, ავტორი, ამასთანავე, აქტუალურ პოლიტიკურ დისკურსსაც წარმოგვიდგენს.

ნაშრომს ალ. მანველიშვილი იწყებს წინა ხანებში გაბატონებული თვალსაზრისის უარყოფით – „თითქოს ხალხთა ეროვნული ფორმაცია იყო ახალი დროის საქმე“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 3) და მკვეთრად გამოთქვამს თავის პოზიციას: „ერთა ფორმაცია არ ყოფილა საქმე ახალი დროისა და ევროპის ხალხთა. არამედ მას ჰქონია ადგილი ძალიან შორეულ წარსულშიც. მათგან დღესაც მოიპოვებიან ნაშთები, რომელთაც კიდევ არ დაუკარგავთ ერის სახე“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 3). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ცივილიზაცია, პროგრესი მხოლოდ მატერიალურ ძალთა განვითარებით არ იზომება, არამედ „ცივილიზაცია არის მთლიანად აღებული, ჯამი ადამიანის შემოქმედებისა, და მისი პირველი ნიშანი არის სწორედ ადამიანის სოციალური პროგრესი“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 3).

ნაშრომის პირველ ნაწილში იმის გასააზრებლად, რა გზის გავლა დასჭირდა ადამიანთა მოდემს ეროვნულ ფორმაციებამდე, ალ. მანველიშვილი იშველიებს შედარებით მეთოდს. ველურთა ცხოვრების შესწავლის საფუძველზე იგი გამოყოფს ევოლუციის საფეხურებს და გამოკვეთს განვითარებისათვის აუცილებელ სოციალურ ინსტინქტს, როგორც თანდაყოლილს, გამომდინარეს ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან, ამიტომ ნებისმიერ ეტაპზე ადამიანები ცხოვრობდნენ ამა თუ იმ სოციალურ ორგანიზაციებად (ურდო, გვარი, ოჯახი...), ხოლო სოციალური ორგანიზმების უმაღლეს ფორმად მიიჩნევს ერს, რომელიც თავის იურიდიულ გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოში. ალ. მანველიშვილის მსჯელობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ცნების ერთი მნიშვნელობა სხვადასხვა ნიშნის (ენა, კულტურა, რელიგია, ისტორია, რასობრივი ერთგვაროვნება...) ერთობლიობის საფუძველზე შეერთებულ საზოგადოებას გულისხმობს, იგი არ არის ერი პოლიტიკური ორგანიზაციის გარეშე. „ერი იგივე ხალხია სახელმწიფოში ჩამოყალიბებული“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 9). როგორც ვხედავთ, ალ. მანველიშვილის თვალსაზრისი ეხმიანება ერის დეფინიციის ერთ-ერთ თანამედროვე, კერძოდ, რეალისტურ პარადიგმას - „ერი-სახელმწიფო“, კონკრეტულად კი მის რომანტიკულ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს „ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, როგორც წინასწარ არსებული რომელიმე ერთობიდან მომდინარეს, რომელიც სხვებისგან ბუნებრივად მიჩნეული კავშირებით განსხვავდება“ (სენარკლენი და სხვ., 2014, გვ. 26); თუმცა ამ პარადიგმის ძირითადი მიმართულებისგან განსხვავებით, რომელიც ერის ჩამოყალიბების ყველაზე უადრეს ზღვარს, უკეთეს შემთხვევაში, XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში ათავსებს, ალ. მანველიშვილი ეროვნული ფორმირების უდავო ფაქტს ისტორიის სიღრმეში მიუჩენს ადგილს ზოგადად, საკუთრივ კი, ქართველი ერის მაგალითის ჩვენებით.

ხალხის ერთად ვერ ქცევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ალ. მანველიშვილი უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი ხალხის გავლენის ქვეშ მოქცევას ასახელებს, რომელთან ერთადაც ის აღმოჩნდა ერთ სახელმწიფოში, თუმცა ზოგჯერ არ დაუკარგავს დამახასიათებელი თვისებები (ენა, სარწმუნოება, ადათ-ჩვეულებები და სხვ.) და ამდენად, როგორც ხალხს, შეუნარჩუნებია თავისი ეთნიკური სახე, განსხვავებით მათგან, ვინც ასიმილირდა დამპყრობელ ხალხთან.

ერი, ალ. მანველიშვილის განმარტებით, არის

„ადამიანთა საზოგადოება, შედეგი ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა, დამთავრებული და განმტკიცებული ერთი საერთო სულიერი ცხოვრებითა და მისწრაფებებით. საერთო ტერიტორიითა და საერთო პოლიტიკური ორგანიზაციით. ერთად ცხოვრების ნიადაგზედ მასში შექმნილია მთელი რიგი სულიერ თვისებათა, რომელნიც თავის მხრივ კიდევ მეტად უწყობენ ხელს მის შემჭიდროებასა და სიმტკიცეს. ერის როგორც ბუნებრივი ორგა-

ნიზმის ჩამოყალიბება ხდება მრავალნაირი ლტოლვა-მღელვარების შემდეგ“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 10).

საინტერესოა ალ. მანველიშვილის მსჯელობა მისი თანადროული სოციალისტური იდეოლოგიის კონტექსტში: „წარსულისა და აწმყოს მაგალითები ნათელჰყოფენ, რომ ერთი საკაცობრიო ორგანიზმის შექმნა არ შეეფერება თვით ადამიანის ბუნებას... ერი, ვერ შეურიგდება თავისი ინდივიდუალულობის გაქარწყლებას კაცობრიობის ოკეანეში, რადგან ევოლიუცია ემყარება ინდივიდუალუალობას და ეს არის სამყაროს საერთო კანონი“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 12-13). ვფიქრობთ, ამგვარი დისკურსი მეტად აქტუალურია თანამედროვე გლობალისტური ტენდენციების პირობებშიც, მეტადრე ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერებისთვის, თუმცა ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართველი ერი, არაერთი რეალური საფრთხის მიუხედავად, გადაურჩა პოლიტიკურ ქარტეხილებს და შეინარჩუნა სახეც და მთლიანობაც. ამიტომაც მიაჩნია ალ. მანველიშვილს ის ერის ცხოვრების „მრავალციკლოვანების“ საუკეთესო მაგალითად: „ერის ცხოვრება მრავალციკლოვანია. ერი, თავისი არსებობის გზაზე შეიძლება მრავალჯერ მივიდეს აღსასრულის კარებთან; მაგრამ მას შეუძლია ხელმეორედ წამოდგეს და გაიზარდოს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ქართველი ერი. ის ხშირად დაცემულა. დაქვეითებულა თავისი არსებობის მეტად დაბალ ფორმებამდეც, მაგრამ შემდეგ ისევ წამოდგარა და განვითარებულა“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 15). ამგვარ გამოცდილებას ალ. მანველიშვილი მიჰყავს საინტერესო დასკვნამდე:

„ე.ი. ერი, მოკვდავი კოსმიური თვალსაზრისით, უკვდავია ადამიანური თვალსაზრისით... ერის ცნება და შინაარსი შეიცავს მრავალ თაობათა სიცოცხლის შინაარსსა და აზრს. ის არის მრავალ ათასეულ თაობათა ინდივიდუალურ შემოქმედებათა საერთო საუნჯე. რომელიც უნდა გადაეცეს როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა, ასევე ათასეულ თაობებს მომავლისა. გრძნობა, რომელიც მიისწრავს ერის ამ სამარადისო უზრუნველყოფისათვის, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ეროვნული იმპერატივი, ტარანსცედენტული ძალა, რომლის ბრძანების ქვეშ იმყოფება ადამიანი... ერის მიზანი არის უკვდავება. ერი, რომელიც ამისთვის უკეთ არის შეიარაღებული – პირველხარისხოვანია. მის უკვდავებას ხელს უწყობენ მთელი რიგი ფაქტორები: კულტურა, ორგანიზაცია, დაწესებულებანი. ერის ღირსება იზომება მისი კულტურულ შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებით“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 15).

ამ თვალსაზრისით, ალ. მანველიშვილი ქართველ ერს პირველხარისხოვან ერთა შორის მიუჩენს ადგილს.

საერთოდ, ალ. მანველიშვილი ერის სიცოცხლისუნარიანობაში დიდ როლს კულტურას ანიჭებს და ეწინააღმდეგება აზრს, რომ ხელოვნებას არ აქვს სამშობლო:

„ეს იგივე იქნებოდა წარმოვიდგინოთ, შვილი მშობლის გარეშე. ყოველი კულტურა, ყოველი ფორმა მისი გამომჟღავნებისა იქმნება ეროვნულ, ინდივიდუალურ ნიადაგზე... ინდივიდის მიერ; მაგრამ რადგან ინდივიდში თავმოყრილია ეროვნული ხასიათები, მითვე პიროვნულს ესმება ერის ბეჭედი... ხშირად ამბობენ, ესა თუ ის კულტურული ძეგლი ატარებს საკაცობრიო ხასიათსო. ეს იმიტომ, რომ მასში მოცემულია ერის სულიერების უმაღლესი ფორმა; ის, რაც სხვისთვისაც იდეალია და მისაღები. ამიტომ ხდება ის საკაცობრიო ღირებულებად“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 15-16).

ამ მსჯელობის კვალდაკვალ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველას ცნობილი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად... გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათავყვანებელი... მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 252-253).

როგორც აღვნიშნეთ, ალ. მანველიშვილის ნაშრომის მიზანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიული დროის ჩვენება და დასაბუთებაა; შესაბამისად, მსოფლიოს ხალხთა მაგალითების ანალიზის საფუძველზე პირველ ნაწილში განვითარებული ვრცელი მსჯელობა ერის რაობის შესახებ მას სწორედ იმისთვის სჭირდება, რომ ამ ბუნებრივ ევოლუციურ პარადიგმაში თვალი გაადევნოს „ქართული მოდემის“ გზას მის „ეროვნულ ფორმაციამდე“.

ნაშრომის მეორე ნაწილს ალ. მანველიშვილი იწყებს სრულიად მართებული დებულებით: „შეუძლებელია ქართველთა მოდემას ეწოდოს *ერი* მის შორეულ ეპოქებში, როცა ის ცხოვრობდა დაქსასული და საერთო შემკავებრივ გრძობა მათ შორის იყო სუსტი. ..ეს სტადია გაიარა ყოველმა ხალხმა და ქართველობამაც. ამიტომ სდგას საკითხი: როდის მოხდა ქართველთა ასეთი მთლიანობის განხორციელება, ერთ მთლიან სოციალურ ორგანიზმად ჩამოყალიბება!“ (მანველიშვილი, 1955, გვ.17). ამ ხანგრძლივი პროცესის პირველ ეტაპზე, ალ.მანველიშვილის დაკვირვებით, დიდი როლი უნდა ეთამაშა ეთნიკურ ფაქტორს და ამ ნიადაგზე ენის ერთობას, შემდეგ კი - პოლიტიკურ მდგენელს, რომელიც, თავის მხრივ, ემყარებოდა ეთნიკურ საფუძველს გარეშე მტერთან მუდმივი ბრძოლის პირობებში. ემიგრანტი ავტორი ისტორიულ მოცემულობათა საფუძველზე არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ქართველი ერის ფორმირებაში არცერთ ეტაპზე ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვანი არ ყოფილა, მაშინ როცა ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო სხვა ხალხების ცხოვრებაში. აქ, ცხადია, ალ. მანველიშვილი გვერდს ვერ უვლის ქართველ მარქსისტებს, რომლებიც, მისი თქმით, ქართველი ერის წარმოშობის საკითხს მხოლოდ იმიტომ შეეხნენ, რომ ის XIX საუკუნის „პროდუქტად“ გამოეცხადებინათ, რათა ამით „დაედასტურებინათ ჩვენში კაპიტალიზმის არსებობა, რადგან მათი, მარქსისტული სწავლებით „ერი“ იქმნება მხოლოდ კაპიტალიზმის ნიადაგზე. ქართველმა მარქსისტებმა ევროპის მარქსისტებისაგან მიიღეს მზამზარეული იდეები. რომ მის ჭეშმარიტებაში ხალხი დაეჯერებინათ, საჭირო იყო ყველა საკითხები მისი საზომით აეხსნათ და დაეფასებინათ“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 20). საბჭოთა რეჟიმის უკომპრომისო მოძულე, ეროვნულად მოაზროვნე ემიგრანტი ავტორი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, მწვავედ გააკრიტიკოს მარქსიზმის თეორია ზოგადად და კონკრეტულად ქართველი მარქსისტების პოლიტიკური აზროვნება:

„საქართველოში მარქსის დოგმების შემოტანით შეიქმნა მთელი რიგი ყალბი წარმოდგენები სხვა და სხვა საკითხებზე. მარქსიზმი იყო სიადვილის ფილოსოფია. მით ყველაფრის ახსნა ადვილია. რადგან მარქსიზმი არის დოგმა, და დოგმა კიდევ გაურბის მეცნიერებას და მის კრიტიკას. რაც არ უნდა შეუთანხმებელი იყოს მარქსის დებულება სინამდვილესთან, ის ახალის ძიებაში ვერ შევა. ეს მისთვის აკრძალულია. მას აქვს წინასწარ აღებული გარკვეული ადლი. ამ ადლით მიდის მარქსისტი ყოველ საგანთან. თუ შემთხვევით საგანი მიუდგა მის საზომს, ხომ კარგი, თუ არა და მარქსისტი ერთი წუთითაც არ ეჭვდება საზომის ღირსებაში. ამ შეუსაბამობას იგი საზომს კი არ აბრალებს, არამედ საგანს, რომელიც განგება ისე გაუჩენია რომ არ ემთხვევა მათ საზომს. აქედამ გამოსავალი ერთია: თვით ეს საგანი უნდა გარდაიქმნას ისე, რომ ის მიუდგეს საზომს. ამ მხრივ მარქსისტების აზროვნება მოგვაგონებს საბერძნეთის მითოლოგიაში განთქმული ყაჩაღის პროკრუსტოს აზროვნებას... ასე დაემართა ქართველი „ერის“ საკითხს მათ ხელში“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 21).

„ერის“ გააზრების საკითხში ალ. მანველიშვილი ორთოდოქს მარქსისტად ასახელებს ნ. ჟორდანიას, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ერთობას მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორს აფუძნებს. მისი თქმით, ნ. ჟორდანიას 1897 წელს გამოცემული ნაშრომი - „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ – „ქართველი მარქსისტების სახარებად“ იქცა და ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა 40 წლის შემდეგ მისი ხელახალი გამოცემისასაც (პარიზი, 1937) (მანველიშვილი, 1955, გვ. 22). სინამდვილეში ნ. ჟორდანიამ შეგნებულად შეცვალა ისტორიკოსების მიერ უდავოდ დადგენილი დრო საქართველოს გაერთიანებისა და ის XII საუკუნეში გადაიტანა, რათა ვითარება მარქსის რეცეპ-

ტისტვის მოერგო და ქართველი ერის წარმოშობა კაპიტალიზმის განვითარებისათვის დაეკავშირებინა (მანველიშვილი, 1955, გვ. 27).

ნ. ჟორდანიას მოსაზრებების ვრცელი კრიტიკის შემდეგ ალ. მანველიშვილი წიგნის მესამე ნაწილში დაწვრილებით განიხილავს ქართველი ერის ფორმირების მთავარ ფაქტორებსა და ეტაპებს, ამისთვის კი, როგორც გვაუწყებს, ემყარება ნამდვილ ფაქტებსა და მოვლენებს, თანამედროვე საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს. უმთავრეს ფაქტორებად ის საერთო ენას, სარწმუნოებას, კულტურას, ტერიტორიას, გარეშე ხალხთან დამოკიდებულებას ასახელებს და თითოეულ მათგანს ისტორიულ ჭრილში განიხილავს, ხოლო „ქართველთა მოდგმის მიერ ცნობას ურთიერთ ნათესაობისა“ ის სამ პერიოდად ყოფს, რომელთა საეტაპო ზღვარი ცალ-ცალკე იყო: 1) საერთო ენაზე ამეტიყველება; 2) ტერიტორიული განშლის მიუხედავად, ურთიერთ სისხლით ნათესაობის გრძნობის შემორჩენის ნიადაგზე მტრის წინააღმდეგ შეკავშირება და 3) ამოდრავება უფრო მყარი ერთობის შესაქმნელად.

თავისთავად, ის ფაქტი, რომ ერის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე ქართველთა მოდგმის ხალხი იწოდებოდა ქართველთა ნათესავად, ტერმინის შინაარსიდან გამომდინარე, ალ. მანველიშვილს აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ „ერობის“ გარკვეული მცდელობანი ჩვენში საუკუნეთა სიღრმეშიც ყოფილა და პირველ ჯერზე ისინი საერთო ენისა და დამწერლობის შექმნით უნდა დასრულებულიყო, რაც ჩვენს წ. აღ-მდე პირველი ათასწლეულის მოვლენაა. ამ ათასწლეულის შუა ხანებისთვის საერთო ენა იმდენად ყოფილა განმტკიცებული, რომ მას შემდეგ ვერცერთმა გარე თუ შიდა ფაქტორმა ვეღარ დაშალა ვერც რელიგიურ და ვერც მართვა-გამგეობით სფეროში.

ეროვნული ტენდენციების გამოვლენის თვალსაზრისით, ალ. მანველიშვილს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ქართველური წარმომავლობის ხალხების განსახლების ადგილებში ქრისტიანობამდელი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ ამ ხალხთა საერთო შემოქმედებით ფორმასა და შინაარსს, ნივთიერი თუ სულიერი კულტურის სტილს, საერთო სულსა და ხასიათს. ალ. მანველიშვილი აღნიშნავს, რომ, ზოგადად, ერი მხოლოდ მაღალი კულტურის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ კულტურა და სამშობლოც არ არის ამისთვის საკმარისი პირობა - რადგან ერის „ბუნება სოციალური და პოლიტიკურია. ის პოლიტიკურ ჭიდილში იქმნება“ (მანველიშვილი, 1955, გვ.42.) შესაბამისად, ქართველთა მოდგმის ერად ჩამოყალიბების მეორე სერიოზულ მცდელობად ალ. მანველიშვილი განიხილავს კოლხიდისა და იბერიის სამეფოების (შემდგომ სახელწოდებათა თუ სხვა სახის მეტნაკლები ცვლილებებით) ფორმირებას, რომლებიც იმ დროისათვის, გარკვეულწილად, წარმოადგენდნენ ერის ტიპებს; მაგრამ ნამდვილი და მძლავრი მოძრაობა მყარი ეროვნული ერთობის შესაქმნელად ჩვენში არაბების ბატონობის ხანიდან იწყება. ჯერ კიდევ ნაშრომის მეორე ნაწილში ალ. მანველიშვილი მოკლე დასკვნის სახით შენიშნავს, რომ ეს პროცესი საერთო ეროვნული შეგნების ნიადაგზე VIII-X საუკუნეებში გაიშალა, რაშიც დიდი როლი ითამაშა „კულტურულმა მოძრაობამ, შექმნილმა სარწმუნოებრივ ნიადაგზე... მას მოჰყვა შინაგანი პოლიტიკური ჭიდილიც და თითქმის ორი საუკუნის ბრძოლებისა და მცდელობის შემდეგ ეს ერთობა მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს გამარჯვებით დაგვირგვინდა“ (მანველიშვილი, 1955, გვ. 26). აღნიშნულ დასკვნას „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაციის“ ავტორი წიგნის მესამე ნაწილში წყაროებზე დაფუძნებული ვრცელი ისტორიული ექსკურსით ამყარებს და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველთა სრული ეროვნული ერთობა, მოქცეული სახელმწიფოს ფორმაში, ზაგრატ III-ის დროისთვის უტყუარი ფაქტია, რომელიც ამ ერმა საბოლოოდ დაადასტურა დავით აღმაშენებლის თაოსნობით თბილისიდან არაბების განდევნითა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებით (მანველიშვილი, 1955, გვ. 60-61).

მსოფლიოს გამოცდილება გვასწავლის, რომ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპებზე ხალხები ერებად იქცევიან (ან ვერა), რომლებიც იზრდებიან ან კნინდებიან, კვლავ იმართებიან წელში ან ქრებიან, მაგრამ ალ. მანველიშვილის მსჯელობით და დღევანდელი გადასახედიდანაც, ქართველობა, რაკი უკვე ათი საუკუნეა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერად, ეს იმდენად გაცნობიერებული და შემდგარი აქტი აღმოჩნდა, რომ ვერ დაარღვია ვერც ქვეყნის დაშლამ, ვერც ათასი ჯურის მომხვედურმა და დამპყრობელმა და ვერც რუსულმა ანექსიამ თუ ოკუპაციამ.

ალბათ, ჩვენი სტატია, მისი ძირითადი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, აქ უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართული მოდგმის ეროვნულ ფორმაციაში“ ავტორს კიდევ არაერთი საყურადღებო დაკვირვება აქვს გამოთქმული სხვადასხვა საკითხთან მიმართებით: როგორ უნდა ყოფილიყო ქართველთა განსახლების გეოგრაფია უძველეს ეპოქაში; როგორ იცვლებოდა ქართველი ხალხის/ერის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში და რა შინაარსს მოიცავდა ის თითოეულ ახალ ფორმაში; როგორ უნდა შეფასდეს პიროვნების როლი ისტორიაში და არის თუ არა ის უპირატესი ხალხის საერთო ნებასა და განწყობაზე...

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ალ. მანველიშვილის „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“ უნდა შეფასდეს, როგორც უაღრესად საინტერესო პუბლიკაცია და, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაწერა-გამოქვეყნებიდან გასული 70 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობები უპრეცედენტოდ განვითარდა, ის, ჩვენი აზრით, კვლავ რჩება აქტუალურ და ანგარიშგასაწევ ნაშრომად ერის/ ქართველი ერის ფორმირების საერთო დისკურსში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვაჟა-ფშაველა. (1964). კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. 9. 252-254. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- მანველიშვილი, ალ. (1935). ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკულ დებულებანი. „მომავალი“. 7. 2-4. პარიზი.
- მანველიშვილი, ალ. (1955). ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია. პარიზი.
- რენანი, ე. (1882). რა არის ერი (ნაცია)? „ივერია“. 3. 103-129. თბილისი.
- სენარკლენი, პ., არიფენი, ი. (2014). საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შარაძე, გ. (1992). ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით. თბილისი: „სამშობლო“.
- ჭირაქაძე, ს. (1936). ჩვენი გზა. „მომავალი“. 9. 1-2. პარიზი.

References:

- Ch'irakadze, S. (1936). Chveni gza. [Our way]. "Momavali". 9. 1-2. P'aris.
- Manvelishvili, Al. (1935). Chveni ideologiis p'ratik'ul debulebani. [Practical Provisions of Our Ideology]. "Momavali". 7. 2-4. Paris.
- Manvelishvili, Al. (1955). Kartuli modgmis erovnuli pormatsia. [National Formation of Georgians]. Paris.
- Renan, E. (1882). Ra aris eri (natsia)? [What is a Nation?]. "Iveria". 3. 103-129. Tbilisi.
- Senarkleni, P., Aripeni, I. (2014). Saertashoris p'olitik'a: tanamedrove teoriebi da amotsanebi. [International Politics: Modern Theories and Tasks]. Tbilisi: Ilia State University Press.
- Sharadze, G. (1992). Amerik'eli kartvelebi tvalis erti gadavlebit. [American Georgians at a Glance]. Tbilisi: "Samshoblo".
- Vazha-Pshavela. (1964). K'osmop'olit'izmi da p'at'riot'izmi. [Cosmopolitanism and Patriotism]. Complete Works in Ten Volumes. 9. 252-254. Tbilisi: "Soviet Georgia".